# სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული დამატება

გაზეთის № 1173

დამატების № 207

კვირა, 27 აპრილი 1914 წ.



შექსპირი.

## ეგ ვარდი თუ..?!

მკერდს ყვავილი დაგთამაშებს,
მკერდს ყვავილი მიგიკონავს,
მკერდის ბუჩქზე კოკორი თრთის,
მკერდის ბუჩქზე ვარდი გორავს!
მაგრამ, ცელქო, სწორედ მითხარ,
გაამჟღავნე დაფარული,
რომელი უფრო ეშმაკობს...
ეგ ვარდი თუ, ვარდ ქვეშ გული?!

**ი. ევდოშვილი.**

## ქალს

შენს ღიმილში მზე დასცურავს,
თვალთ ზღვაში კი ოტარიდი;
მაგრამ მაინც საშიში ხარ,
მაგრამ მაინც მოსარიდი!

*
* *

შენი მზერა მორიელს ჰგავს,
შენს უბეში ბუდობს გველი;
მაგრამ მაინც სულს იტაცებ,
მაინცა ხარ მიმზიდველი!..

—

და რად გიკვირს, თუ ხან შენს წინ
მუხლ მოკვეთით ლოცვად ვსდგები,
ხან კი, როგორც გველის ისარს,
თვალს გარიდებ და გშორდები?!..

**ს. ფაშალიშვილი.**

*
* *

როდესაც ვპოვებ ზეიმს არ ვიხდი,
როდესაც ვკარგავ არ ვიცი გლოვა;
იცვლება სახე სიყვარულისა,
ზღვის სახესავით წავა და მოვა.

მეფისა სული იშვა ქვეყანას,
ქვეყანას იშვა მეფის ასული;
თან აედევნა ბოროტი მონა,
თან აედევნა ბოროტი სული.

ქარისაგან ფრთებ დამტვრეულს
მუქს პეპელას წავადექით,
ქინძისთავზე ავაბნიეთ
და დავეშვით დალმართ ბექით.

ქალის სურათს ზემივაბით,
მოგვეწონა ესე ყველას;
დღეს სურათზედ ვხედავთ... ვხედავთ
ოქროს კვერცხს და მკვდარს პეპელას.

ესე მომკალ! ოქროს სიტყვას...
ოქროს სიტყვას ვშობ მეც, სულო!
თუ ნამდვილად ქარს გადამცე,
თუ ნამდვილად შემიძულო.

როდესაც ვპოვებ ზეიმს არ ვიხდი,
როდესაც ვკარგავ არ ვიცი გლოვა;
იცვლება სახე სიყვარულისა,
ზღვის სახესავით წავა და მოვა.

მეფისა სული იშვა ქვეყანას,
ქვეყანას იშვა მეფის ასული;
თან აედევნა ბოროტი მონა,
თან აედევნა ბოროტი სული.

**ბაბილინა.**

# ალ. მანშიაშვილის ლექსები

## გაზაფხულის ტრფოგის ნაშთი



ჰამლეტი. სურათი შარლ ლემანისა.

### სულის თვისტომნი.

მიყვარს ია და სუმბული,
ვეტრფი ვარდსა, იასამანს;
გაზაფხულზე, ვით ბულბული,
მათ ვუმღერ და ვუძღვნი სალამს!

მიყვარს, რადგან ჩემი სული
მათ სინაზეს ემსგავსება;
მათებრ მრავალ-ფეროვნულად
გული გრძნობით აღმევსება.

მიყვარს, რადგან მათი გაშლა
ჩემს მიჯნურსა მომაგონებს
როს შავთვალა, მოცქრიალე
ხელით ჰკრავდა ყვავილთ კონებს.

მიყვარს, რადგან მათის მზერით
სიყვარულთან სევდაც ჩნდება,
რომ მიჯნური ჩემთან ერთად
მათებრ მალე ჩამოჭკნება!

### ოდეს გამშორდი.

ოდეს გამშორდი, მაშინ ვინაღვლე:
ასე გულცივად რად გექცეოდი?
რად დავცინოდი შენს ნაზს სიყვარულს
ან ფუჭს ზმანებას რად ვეძლეოდი?

ახ, კიდევ მახსოვს ის საყვედური
უკანასკნელად ყრუდ წარმოთქმული;
მახსოვს და ვნაღლობ! მაგრამ მიჯნურო,
ველარას მშველის დღეს სინანული.

გიჟური ლტოლვა დამიშთა ნატვრად,
სულით რომ ცამდის აღვიკმეოდი;
აწ შენც გამშორდი და ეხლა ვნაღლობ:
იმ დროს გულცივად რად გექცეოდი?!

### გამოსალმება:

ტურფავ! ტურფავ, მომეც ხელი!
შეიმაგრე ცრემლი ცხელი!
ნუ, ნუ სტირი გაბასრული!

ჩვენმა შვებამ, ალტაცებამ,
ერთმანეთთან გულის გზნებამ,
უნდა ჰპოვოს დასასრული!

გადგიკოცნო, მოდი, ბაგე,
რადგან სიტკბო მით მომაგე!
მოდი, გულმა ჩაგიკონოს!

მოდი, შუბლზეც გეამბორო
რადგან, ოდეს განგეშორო
მან მე აღარ მომიგონოს!

# სამიკო პლუტაძე

(ნამდვილი ამბავი)

ქართლის ერთ-ერთ მიყრუებულ დაბაში განმანთავისუფლებელი მოძრაობა ახალი დაწყებული იყო, როცა ამ დაბას პროპაგანდისტად ქალაქ ტფილისიდან მოევლინა საშიკო პლუტაძე.

პლუტაძეს თითქმის საშუალო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული... შემდეგ წაეკითხა რამდენიმე თანამედროვე წიგნაკები და შეეთვისებინა სოციალური მსოფლ-მხედველობა. მართალია ძალიან ზერელეთ, მაგრამ საშიკოს მაინც ძალიან მოჰქონდა თავი თავის სოციალისტობით. როცა განმანთავისუფლებელი მოძრაობა მოედო ქალაქებს და სოფლებს, პლუტაძემაც იტვირთა პროპაგანდისტობა. ამ დროს ბევრი მოხეტიალე ინტელიგენტი ეძიებდა სოციალისტობის „დიპლომს“, გამოდიოდა ხალხში და ემსახურებოდა მხოლოდ თავის ქვეყრელე მიზნებს. ხალხი კი ხშირად მოტყუებული რჩებოდა... მოძრაობასაც სახელი უტყდებოდა, მაგრამ ეს რა მათი საქმე იყო?!.. მოძრაობა, ხალხის სამსახური, ძმობა-ერთობა მხოლოდ არშია იყო ქვეყრელე მიზნების ასასრულებლად.

ამ გვარ მოხეტიალე ინტელიგენტთა ჯგუფს ეკუთვნოდა საშიკო პლუტაძეც.

დაბაში ჩასვლისას მან „ცილინდრა“ თითქმის თვალებზე ჩამოიფხატა, შავი ხალათი გაისწორა, პიჯაკი შეიკრა და მედიდური გამომეტყველება მიიღო.

— **Надо серьезный видъ принять, а не то не заслужить вниманія,**—ჩაილაპარაკა მან თავისთვის.

აიარ-ჩაიარა დუქნების წინ და, ბოლოს, შეჩერდა ერთ წიგნის მაღაზიასთან. ცოტა დაყოვნების შემდეგ კიდეც შევიდა შიგ და დაუწყო თვალიერება წიგნებს.

— ჰმ!.. თანამედროვე წიგნებიდან არაფერი გაქვთ?—შეეკითხა წიგნების გამყიდველს.

— ბევრი არაფერი.

— ჰმ!.. შე კაი კაცო, მა რა გაქვს? დღეს თუ ხვალ რევოლიუცია უნდა მოხდეს, ქვეყანა მოძრაობის სამზადისშია და თქვენ საამდროვო წიგნებიც არა გაქვთ!.. მაგალითად კაუცკის არაფერი გაქვთ?—ცოტა ნოტაციის შემდეგ დაუმატა საშიკომ.

მაღაზიის პატრონი თვალებ მიბრეცილი შეჰყურებდა უცნობს. ის გააკვირვა ასეთ შეგნებულ ლაპარაკმა.

— კაუცკის არა და ბებელის, გედის და პლეხანოვისაც კი გვაქვს რაღაც ბროშურები,—უპასუხა მან.

— ჰოო!.. მომაწოდეთ, მომაწოდეთ... მე ძალიან მეინტერესება მათი ნაწერები,—მადიანად ემუდარებოდა საშიკო.

— თუ თანამედროვე წიგნები გიკითხავთ, ესენი უთუოდ წაკითხული გექმნებათ, მაგალითად, როგორიცაა „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ და სხვ.

— ბევრჯელ, ბევრჯელ, ჩემო კარგო, მაგრამ ჩემთვის ეს წიგნები მაინც ძალიან საჭირონია... მასალების ამოსაკრეფად... და... ჰმ!.. სახელმძღვანელოდ.

მან გადაარჩია რამდენიმე ბროშურა, გაუსწორა ანგარიში, და ის იყო, უნდა გარედ გამოსულიყო, რომ წიგნების გამყიდველმა შეაჩერა.

— უკაცრავოდ, თქვენ აქაური ბრძანდებით? ვგონებ არა.

— არა, მე ტფილისიდან ჩამოველ დროებით,—მიუგო საშიკომ.

— მაპატიეთ, განა ტფილისში წიგნები არ იყო, რომ ჩემს უბადრუკ მაღაზიაზე არ მოგეტანათ იერიში?—წიგნების გამყიდველს თან ჩაეცინა ამ ფრაზაზე.

— ოჰ! როგორ არა, მაგრამ ისე მოვეჩქარებოდი, რომ ჩემი წიგნებიც დამრჩა, აქ კი ჩემთვის საჭირონია ნამეტურ ასეთი წიგნები. ამიტომაც შემოვუხვიე თქვენს მაღაზიისკენ.

„აქ კი ჩემთვის საჭირონია ნამეტურ ასეთი წიგნები“, გაიმეორა თავის გულში წიგნების გამყიდველმა და თან გაიფიქრა: „ორგანიზაცია რომ პროპაგანდისტს ელოდა, ალბად, ეს არის, აბა რად ესაჭიროვება აქ ასეთი წიგნები, ისიც სახელმძღვანელოდ?! ლაპარაკის კილოც გურული აქვს. უთუოდ გურული პროპაგანდისტი გამოგვიგზავნეს“.

— თქვენ, თუ არ ვცდები, პარტიულ მუშაობისთვის უნდა იყოთ გამოგზავნილი, არა?.. ფრთხილად შეეკითხა წიგნების გამყიდველი.

„ჯაშუში ხომ არ არის?“ გაიფიქრა უცებ გულში საშიკომ, მაგრამ ჩქარა შეიცვალა აზრი: „არა, პროვინციელ წიგნების გამყიდველების უმრავლესობა თითქმის პროგრესიულ ნაწილს შეადგენს ჩვენ საზოგადოებისას. არა, ამას უთუოდ შევეკითხები, ვის მივმართო,



ოტელო დეზდემონას მოკვლის წინ. სურათი გოფმანისა.



სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართველ ქალთა მომღერალ-მგალობელთა გუნდი,
**ი. ა. გოძიაშვილის** ლოტბარობით დღევანდელ კონცერტის გამო.

ვინ არის აქაური წარმომადგენელი, თორემ მგონი ამ კვირია ვერ ვნახო ვერავინ პარტიელთაგანი“.

— დიაღ, დიაღ, მარა მე აქ ჯერ უცხო ვარ და არ ვიცი ვის მივმართო.

— დაიცადეთ აქ და ჩქარა მოვა აქაური წარმომადგენელიც... დაბრძანდით, აი სკამი.

საშიკომ დაუწყო ცდა.

ნახევარ საათის შემდეგ მაღაზიაში შემოვიდა საშუალო ტანის ქერა გლეხი. ეს იყო აქაური წარმომადგენელი. მაღაზიის პატრონმა წარუდგინა მას საშიკო. ისინი ერთმანეთს გაეცვნენ და ერთად გავიდნენ მაღაზიიდან.

—

იმ საღამოს აქაურმა წარმომადგენელმა შეკრიბა ასისთავ-ათისთავები და ამცნო მათ პროპაგანდისტის ჩამოსვლა. აუხსნა, თუ როგორ უნდა მოეწყოთ წრეები ათისთავებს, სადაც ივლიდა პროპაგანდისტი და ხალხს ასწავლიდა „სიმართლეს“, როგორც ივანე ამბობდა.

— ძმებო, თქვენ იცით რომ ქალაქიდან მქადაგებელს ველოდით. ეს კაცი კიდეც ჩამოვიდა... ძალიან განათლებულია, საწყალ ხალხისთვის თავი აქვს დადებული და ჩვენც მივიღოთ მისი სწავლა. —ამბობდა ივანე.

— გვიშველეთ რაიმე, ივანე... ქრისტე შეეწიოს მაგ ადამიანს, რომ ჩვენთვის კარგი უნდა... ჩვენ ბნელი ხალხი ვართ და თუ ვინმე რაიმეს გვასწავლის და სიკეთეს იზამს—ჩვენს მადლს მოიკიდებს.—უპასუხებდნენ ათისთავ-ასისთავები.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სად დავაბინავოთ ის ადამიანი? შეეკითხა ივანე,—მე მგონია არაუშავს, რომ აქაურ სასტუმროში ნომერი ვუქირავოთ.

— რატომ, ივანე, რატომ? სასტუმროში ფული უნდა; ფული კი წვითა და დაგვით შეგვიკრებია, რომ იარაღი შევიძინოთ და საქმეზე გამოგვადგეს. ის არ აჯობებს, რომ ხან ერთისას იყოს ბინად, ხან მეორესას და ასე იოლად გავიდეთ?.. ამბობდა ერთი შუახნის ასისთავი.

— ჰაი, ჰაი რომ ასე აჯობებს,—გაისმა აქედ-იქიდან.

— მაშ ასე, ამ ერთ კვირას პეტრესას იქნება, მერმე კიდევ სხვა ბინას მოვძებნით, არა?—შეეკითხა ივანე.

— კარგია, კარგი,—იძახდენ.

— შენ რას იტყვი, პეტრე; შენს სახლს ორი ოთახი აქვს, არა?

— მე რას ვიტყვი, ჩემო ივანე, რასაც ხალხი გადასწყვეტს მე მას როგორ გადავუხვევ?!. ესეც რომ არ იყოს, მე მაინც სიამოვნებით მივიღებდით ასეთ პატიოსან და სიმართლის მიმდევარ ადამიანებს. ამბობდა ახალგაზდა გლეხი პეტრე.

— მაშ ასე კითხვა გადაწყვეტილია. ამით დაამთავრა კრება ივანემ.

— —

— გლეხი პეტრე იქმნებოდა ასე 27—28 წლის კაცი, თუმცა და მისი დანაოჭებული სახე და შუბლი, თეთრ-შერეული თმა, მოხრილი წელი და ჩავარდნილი თვალები მის მეტწლოვანობასაც დაამტკიცებდნენ. და მართლაც პეტრეს ბევრი გაჭირვება და უბედურება გადაუტანია თავის სიცოცხლეში. ის 8—9 წლის ობლად დარჩა დედ-მამას და მას შემდეგ ვაი-ვაგლახით უხდებოდა ცხოვრება. ობლობაში მუდმივმა გაჭირვებამ და სიღარიბემ მას ჭკუა და გამოცდილება შესძინა და თუ ამ დაბაში ვინმე გლეხის პირობაზე გამოცდილ ადამიანად ჩაითვლებოდა, მას არც პეტრე ჩამოუვარდებოდა უკან. ჯერ ოცდახუთი წლის არ იქნებოდა, რომ გლეხის პირობაზე კარგად მოეწყო: ერთი წმინდა, ლამაზი ორთვალიანი სახლი დაიდგა, ეზო, რომელსაც ამდენი ხნის უპატრონობის გამო ღობეც არ ჰქონდა და გაველანებული იყო, შემოფარგლა, მოაგვარა, სხვა და სხვა ნაყოფიერი ხეები დარგო, სახლის გვერდზე მშვენიერი ბაღჩა გააშენა და, ერთი სიტყვით, ლამაზად მოერთო.

მამის დანატოვარი ვალიც კაი ხანია გაისტუმრა.

— პეტრია ყოჩაღი კაცია, მამის დანატოვარს უვლის და ღმერთი სიკეთეს მისცემსო,—იტყოდენ ხშირად აქაური გლეხები.

ოცდაექვსი წლის იქმნებოდა რომ ცოლი შეირთო.

ბედმა არც ეხლა დასტოვა უყურადღებოდ: მათი ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი ერთმანეთთან შეწონილ-შეზომილნი იყვნენ. ამასთანავე თუ პეტრე იყო გამრჯელი და ბეჯითი, მისი ცოლი, თალიკოც ერთი ორად მუყაითი და საქმის მოყვარული იყო, რის გამო ისინი სიყვარულით ცხოვრობდნენ.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ დრომ.

იმ დროს, როცა მათ ოჯახში საშიკო პლუტაძე დაბინავდა, პეტრეს ერთი შვილი ჰყავდა.

პირველ ხანებში საშიკო ძალიან მორცხვად იყო, ხშირად ხმასაც ვერ ამოაღებინებდი, მაგრამ ჩქარა გათამამდა.

დაუახლოვდა პეტრეს ოჯახს და ხშირად, თავისუფალ დროს, ერთობოდა ბავშვთან თამაშში. ის თან და თან გახდა „თავის კაცად“ ამ ოჯახში და ბოლოს ყველა ისე უყურებდა, როგორც იმ ოჯახის წევრს. რადგან ძალიან შეეგუა ამ ოჯახს, პეტრემ არც კი გაუშვა სხვაგან სამორიგეოდ საცხოვრებლად. ის ხშირად ესაუბრებოდა პეტრეს ოჯახობას არსებულ წესწყობილების უვარგისობაზე, ბრძოლაზე, მომავალ წესწყობილებაზე და სხვა. ყველა ამ ტკბილი და ლამაზი სიტყვების გამგონე პეტრეს და მის ცოლს ეგონათ, რომ საშიკო ყოვლად უმწიკვლო და უკეთილშობილესი ადამიანი უნდა ყოფილიყო. მას ნდობით ეპყრობოდნენ, მაგრამ მის გულში სულ სხვა გრძნობები ღელავდნენ.

თალიკოს შავგვრემანი სახე, შავი თვალები, ხშირი წარბები და ლამაზი ტუჩები საშიკოს დიდი ხანია ძილს არ აძლევდა.

მას თან და თან დაეტყო სიზარმაცე, წრეებში მეცადინეობის გაცდენას მოუხშირა, თუ მიდიოდა, ჩქარა ათავებდა მეცადინეობას და თავს მართლულობდა ავადმყოფობით.

ერთ საღამოს, როცა პეტრე შინ არ იყო, საშიკო ძალიან გაერთო თალიკოსთან ბაასში.

— თალიკო, ტფილისში ყოფილხარ?

— არა, არასოდეს და... მენატრება კი ტფილისის ნახვა.

— აი, იმ თვის დამლევს უთუოდ წავალ და... თუ გენატრება —წავიდეთ,—ღიმილით უთხრა საშიკომ.

— პეტრეს სად აქვს დრო და მე მარტო როგორ შემიძლიან უცხო კაცთან მოგზაურობა?! გაიკვირვა თალიკომ.

— მე ხომ ეხლა უცხო არა ვარ!.. მასთანავე თუ წარმოიდგენ იმ გრძნობებს...

— როგორ თუ არა ხართ უცხო?—გააწყვეტინა სიტყვა თალიკომ.

— მაშ მე არასოდეს არ შემეძლება თქვენთან დაახლოვება, თუ თქვენ მაგ აზრზე იქმნებით, ხომ?—ცოტა საყვედურით შეეკითხა საშიკო.

— არ ვიცი, ღმერთმანი, რა დაახლოვებაზე ლაპარაკობთ! თქვენ უცხო კაცი ბრძანდებით და თქვენთან მოგზმურობა ჩემთვის შეუძლებელია, რადგან...

—ოოჰ! დაანებეთ, თალიკო, მაგაებს თავი—გააწყვეტინა საშიკომ,—რის შეუძლებლობა, როცა ადამიანი თავისუფალია... იცი, თალიკო, ამდენი ხანია არაფერი მითქვამს და ეხლა უნდა გამოვტყდე, რომ მიყვარხარ, ვიტანჯები შენი სიყვარულით, აღარ მძინავს და ნუ თუ არ თანამიგრძნობ?

თალიკოს ვერ წარმოედგინა, სიზმარი იყო ეს თუ ცხადი, ნამდვილად საშიკო ამბობდა ამ სიტყვებს თუ მოჩვენება იყო- „ისეთი კაცი, რომელიც მუდამ სიმართლეზე და ადამიანობაზე ლაპარაკობს, პატიოსნებაზე ღაღადებს, ნუ თუ ეხლა ჩვენი ოჯახის დანგრევას ჰლამობს“?! გაიფიქრა თალიკომ.

— რა სთქვით? თქვენისთანა პატიოსან ადამიანს ეს როგორ ეკადრება?! მე კი არ შემიძლიან პეტრეს ღალატი და ოჯახის დანგრევა, აი ამ პაწია ბავშვის ღვთის ანაბარად დატოვება—მან მიუთითა იქვე მოთამაშე ბავშვზე.

— აქ არავითარი ღალატი არ არის, ჩემო თალიკო!—ეუბნებოდა საშიკო.—ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს. თუ ჩვენ შეგვიყვარდება ერთმანეთი შეგვიძლიან წავიდეთ და ვიცხოვროთ ერთად, რასაკვირველია, ტფილისში. პეტრეს შეუძლია სხვა ქალი მოიყვანოს და იცხოვროს... არც ოჯახი დაიღუპება და არც პეტრეს გაუჭირდება არაფერი.

თალიკო, რომელიც გაშტერებული ისმენდა ამ სიტყვებს, უცებ საშიკოს მაგარ მკლავებში მოჰყვა და მის ტუჩებს გაგიჟებით დაეკონა პლუტაძე.

— გამიშვი ხელი, შე ულმერთო!—შეჰკივლა თალიკომ და ძლივს გაინთავისუფლა თავი პლუტაძის მკლავებიდან. კუთხეში ბავშვმა ტირილი მორთო. ბოლოს, როცა თალიკომ ბავშვი დააწყნარა და გული დაიმშვიდა, მიმართა საშიკოს:

— თქვენ განათლებული და პატიოსანი კაცი ბრძანდებით და ჩემთან საქმის დაჭერა სასირცხვოც არის თქვენთვის. ამიტომ გთხოვთ აწ მაინც არ გაიმეოროთ ეს.

საშიკო ჩუმად გავიდა თავის ოთახში და ჩაუფიქრდა თავის საქციელს. „რა ვქენი?“ ფიქრობდა ის: „მარა არა უშავს, ცოტა ხდება ასეთი? თალიკოს დაპყრობა კი ადვილია... ის თუ ცხაროზს, იმიტომ რომ გლეხის სოფლელი ქალია და კარჩაკეტილ მდგომარეობიდან ვერ გამოსულა, მაგრამ ადვილი კია მასთან დაახლოვება, უთუოდ გულის წადილი უნდა შევისრულო, რადაც უნდა დამიჯდეს, მერმე კი დავკრავ ფეხს და ჩემს ბუნდღლასაც ვერ ნახავ აქედ“.

ამ ფიქრებში იყო, რომ პეტრე შეზარხოშებული მოვიდა. თალიკოს არაფერი უთქვამს მისთვის, დაუგო და დააწვინა.

„როგორც სჩანს, თალიკოს გული უკვე დავიპყრე“, გაიფიქრა საშიკომ: „ჰხედავთ, როგორ დამშვიდდა და ალერსიანად გამოიყურება? პეტრეც მთვრალია... სწორედ გარემოება მიწყობს ხელს, ბედი მწყალობს და ამ ღამესვე უნდა დავიმშვიდო გრძნობები“.

ჯერ ღამის თორმეტი საათიც არ იქნებოდა, რომ საშიკო ნელნელა მიუახლოვდა თალიკოს საწოლს და მიუწვა. ქალს გამოეღვიძა, მაგრამ ხმაურობის ატეხის შეეშინდა. არ უნდოდა პეტრეს გაეგო და უბედურება დატრიალებულიყო. ამიტომ გაიმართა ჩუმი წინააღმდეგობა.

— გამეცა, ღვთისნიერო!—ჩურჩულით ამბობდა თალიკო.

— სუ, თალიკო, შემიბრალე,—ევედრებოდა საშიკო.

ამ დროს პეტრესაც გამოეღვიძა. რა შეატყო, ქალის საწოლთან მოძრაობა და ხმაურობა იყო, მსწრაფლ აანთო სანთელი და რა დაინახა? საცვლების ამარა საშიკო, ეს სიმართლის და პატიოსნების მქადაგებელი, ზნეობის მოციქული, გარბოდა თავის ოთახისკენ. თალიკო კი ლოგინში ქვითინებდა.

— მომჭერით თავი, დამიქციეთ ოჯახი?—იღრიალა პეტრემ, მსწრაფლ ჩაიცო ტანზე და ხმის ამოუღებლივ გაემართა სადღაც. ის მიდიოდა ამ დაბის წარმომადგენელ ივანესთან, ვისთვისაც უნდა შეეჩივლა თავის უბედურება და თავის მოჭრა.

საშიკო პლუტაძემაც მსწრაფლ ჩაიცო და სადღაც გაჰქრა. ის აქედან მერე არავის უნახავს.

თალიკო კი გულშეწუხებული ჰკიოდა, ყვიროდა, სტიროდა და ღმერთს შესთხოვდა სიკვდილს.

— როგორ შევხედო ქმარს, პაწია შვილს, მათ ხომ ყველას თავი მოვჭერი?!.. სიმართლეს არავინ გაიგონებს, ყველა დაცინვას და გაკილვას დამიწყებს!.. არა, არ მინდა სიცოცხლე,—ქვითინებდა მწარე ხმით.

— ოჰ! ქალებო, ქალებო,—შემოილაპარაკა დაღვრემილი სახით პეტრემ, რომელიც ის იყო დაბრუნდა ივანესგან,—არ შეგრცხვა, შე უსინდისო, რომ სხვა, უცხო კაცზე გამცვალე? ამას მოველოდი შენგან თუ ოჯახს თავს მოსჭრიდი და მოიძულებდი?! ვაი, ჩემო თავო დაღუპულო!..

— პეტრე! მე იმ კაცთან არ ვარ დამნაშავე... მე მართალი ვარ ცამდე, მაგრამ ჩემი სიცოცხლე მაინც აღარ ღირს,—ქვითინით ამბობდა თალიკო.

პეტრესაც თავი ჩაეკიდა და მწარედ სტიროდა. პატარა ბავშვი მისულიყო და წვერზე ხელს უცაცუნებდა.

—

.... მეორე დღეს საღამოზე თალიკო სახლში დამხრჩვალი იპოვდეს; საწყალს ვერ გაეძლო ტანჯვისთვის, იწვებოდა, რომ სიმართლეს არვინ უჯერებდა და ყველა ამრეზილი უყურებდა და ამ გვარ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა.

პეტრემ, როცა დაინახა ბაწარზე დაკიდებული ქალი, საშინელი ღრიალი მორთო.—ვაი ჩემ თავს უბედურს!—ჰყვიროდა, აზრი-გონება დაკარგა და მთელი ღამე ჭკუაზე არ მოსულა. დილაზე გონს მოვიდა და როცა მწუხარება მიუსამძიმრეს მეზობლებმა, სრულიად გულგრილად სთქვა:

— ჩვენი ცხოვრება მაინც მოწამლული იყო!

— საწყალი თალიკო!.. უბედური რას იკლავდა თავს?—ამბობდენ თავისთვის მეზობელი ქალები.

საშიკო პლუტაძე კი დღესაც არხეინად ცხოვრობს და განაგრძობს პლუტობას...

პლებეი.




....ამშვენიერებენ!!..

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.